

საქართველოს

რეპუბლიკის



ფასი 3 მან.

შაბათი, 17 აპრილი 1920 წ.

მთავრობის მოახლოება, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არაოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზეთის „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტრის სტრუქტურის ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვობა განცხადება ჩვეულებრივ ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისილ არაფის გავეზავენება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1-82.

სახელმწიფო თეატრი

შაბათს, 17 აპრილს, ოპერა მუშებისთვის
და კლარეტის ბენეფიკი. „**ოსკა**“ სამშაბათს, აპრილის 20-ს, რისის ბენეფიკის და მეზუთე გასტროლი Michel Darial ნანობაშილის „აფრიკელი ქალი“. ოთხშაბათს, აპრილის 21-ს, ხორის ბენეფიკის სტაროსტინას მონაწილეობით „ლაკმე“. შაბათს, აპრილის 24-ს, ოპერა მუშებისთვის „სნეგუროჟკა“. სამშაბათს, აპრილის 27-ს, ფალაშვილის ბენეფიკის „აბესალომ და ეთერი“. ხუთშაბათს, აპრილის 29-ს, ალექსანდრე ბენეფიკის „ზაზა“. პარასკევს, აპრილის 30-ს, ორკესტრის ბენეფიკის სტაროსტინას მონაწილეობით I. „რიგოლეტო“. II. „ქორწილი მოლოროსიაში“. შაბათს, მაისის 1-ს, ოპერა მუშებისთვის და საოპერო სეზონის დახურვა „კოვანის ზღაპრები“.

მთავრობის საქმეთა მმართველობა
ამით საჩქაროდ იწვევს მანქანაზე გადასმულ გამოცდილ პირს. მთხოვნილი მიიღება კონკურსით. თხოვნის შეტანა შეიძლება მთავრობის საქმეთა მმართველობაში (რუსთაველის პრ. მთავრობის სახლი) დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდე. 682 3-3

ოფიციალური განცხადება
კ ა ნ ო ნ ი
გზათა დეპარტამენტის ცენტრალური ორგანოს შტატის გადამდგენისა და ჯამაგირის ნაწილობრივ მომატებისა.
1. 1919 წლის აგვისტოს 1-ს კანონით დამტკიცებული გზათა დეპარტამენტის ცენტრალური ორგანოს შტატი (კან. და მთავ. განკ. კრებ. 1919 წ. № 14 კან. 136) შეცვლილ იქნა ამა 1920 წლის იანვრის 1-დან ნაწილობრივად ამ კანონთან დართული ნუსხის თანახმად.
2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული შტატის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან გზათა მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-დე გზათა უწყების 1919/1920 წლის ხარჯ-აღრიცხვის დამატებად ოთხმოცდათერამეტი ათას ექვსას სამოცდა ოთხი (98,664) მანეთი.
3. ამ კანონით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა. 1920 წ. აპრილის 6-ს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. უორდანი.

შ ს ა ს ი

გზათა დეპარტამენტის ცენტრალური ორგანოს 1920 წ. იანვრის 1-დან ივნისის 1-დე.

№ რიგზე.	თანამდებობა.	თანამდებობის პირთა რიცხვი.	თვიური თანამდებობის.	ყოველწლიური.	ყოველწლიური.	ყოველწლიური.	ყოველწლიური.
I.							
1	გზათა დეპარტამენტის ინსპექტორი	1	5000	5000	25000		
2	კანცლარიის მმართველი	1	5000	5000	25000		
3	კანცლარიის მმართველის თანაშემწე	1	4500	4500	22500		
4	ბუხალტერი	1	4000	4000	20000		
5	უფროსი საქმის მმართველი (იგივე მდივანი)	1	2700	2700	13500		
6	საქმის მმართველი	2	2400	4800	24000		
7	მონაგარი შე	1	2400	2400	12000		
8	მანქანით გამწვარი	4	1550	6200	31000		
9	შიკრიკი	3	1260	3780	18900		
	ჯამი	15	28810	38380	191900		
II.							
ახალ რეკონსტრუქციის განყოფილება.							
10	განყოფილების უფროსი	1	4500	4500	22500		
11	უფროსი ინჟინერი	1	4000	4000	20000		
12	უმცროსი ინჟინერი	1	3500	3500	17500		
13	ტენიკოსი	1	2400	2400	12000		
	ჯამი	4	14400	14400	72000		
	სულ	19	13210	52780	263900		

1920 წ. აპრილის 6-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. უორდანი.

დეკრეტი
მთავრობის სახლის დამწვარი ნაწილის შესაკეთებლად, ცეცხლის საწინააღმდეგო მოწყობილობის შესაქმნელად და სხვა სამუშაოს შესასრულებლად 1.686,000 მან. გადადებისა.
1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მთავრობის საქმეთა მმართველობის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის იანვრის 1-დეკრეტით მილიონი ექვსას ოთხმოცდა ექვსი ათასი (1.686,000) მანეთი მთავრობის სახლის

სარჯთ-ალრიცხვა.

მთავრობის სახლის დამწვარი ნაწილის შეკეთებისა, ცეცხლის საწინააღმდეგო მოწყობილობის შექმნისა და სხვა სამუშაოს შესრულებისა.

№ რიგზე.	ხარჯის სახელწოდება.	საჭირო თანხა.
1	დამწვარი ნაწილის შეკეთებისათვის (შეკეთება კედლებისა, ქერისა, ლუმენებისა, წვიმის სადენებისა და სხვა)	157060
2	ცეცხლის საწინააღმდეგო მოწყობილობისათვის (ლუმენებისა და მათი მიღების გადამკეთება, ცეცხლის განმანაწილებელი კედლების აგება, რკინის კიბების აგება და სხვა).	766437
3	სხვა და სხვა სამუშაოსათვის (ყოფილი ეკლესიის გადამკეთება, საპირფარეშოების, ხელსაბანების, სახელოსნოსი, აუზისა და სხვათა მოწყობა და შეკეთება)	687000
4	ტენიკოსი პერსონალისათვის 1920 წლის იანვრის 1-დე	78000
	სულ	168600

1920 წ. აპრილის 6-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. უორდანი.

შ ს ა ს ი

ქ. ქუთაისის მეორე ხარისხის საბაჟოსი 1920 წლის მარტის 1-დან ივნისის 1-დე.

№ რიგზე.	თანამდებობის სახელწოდება	მთხოვნილი რიც.	თითოეულს	ყველას	ყოველწლიური.
1	გაზე	1	3000	3000	9000
2	უმცროსი კონტროლიორი	3	2500	7500	22500
3	ბუხალტერი იგივე მდივანი	1	1700	1700	5100
4	ბუხალტერის თანაშემწე	2	1600	3200	9600
5	მოლორე	1	1700	1700	5100
6	რეგისტრატორი	1	1200	1200	3600
7	მანქანით გამწვარი	1	1200	1200	3600
8	საწყობის ზედამხედველი	1	2000	2000	6000
9	საწყობის ზედამხედველის თანაშემწე, უფროსი	2	1700	3400	10200
10	ლარაჯ - მოსამსახურენი	10	1300	13000	39000
	სულ	23	-	37900	113700

1920 წ. აპრილის 6-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხ. ექვ. თაყაიშვილი.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. უორდანი.

სარჯთ-ალრიცხვა

ქუთაისის მეორე ხარისხის საბაჟოსი 1920 წ. მარტის 1-დან ივნისის 1-დე.

№ რიგზე.	საგანი ხარჯისა.	1920 წ. მარტის 1-დან ივნისის 1-დე.
1	საბაჟოს პირადი შემადგენილობის შენახვა	113700
2	საკანცლარიო ნივთები	6000
3	სასტამბო ხარჯი	6000
4	ინვენტარის შექმნა	5000
5	შენობის მოსავლელი და გასათბობ-გასანათებელი.	4000
6	წყალი	600
7	სასწორნი	4000
8	ერთი საწერი მანქანა	5000
	სულ	144300

1920 წ. აპრილის 6-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. უორდანი.

კ ა ნ ო ნ ი.

ქ. ქუთაისში მეორე ხარისხის საბაჟოსი დაარსებისა.

1. დაარსებულ იქნეს ამა 1920 წლის მარტის 1-დან ქალ. ქუთაისში მეორე ხარისხის საბაჟო თანახმად ამ კანონთან დართული შტატისა და ხარჯ-აღრიცხვისა.
2. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის განკარგულებისათვის პირველ მუხლში აღნიშნული საჭიროებისათვის ამა 1920 წლის მარტის 1-დან ივნისის 1-დე ას ორმოცდა ოთხი ათას სამასი (144,300) მანეთი.
3. ამ კანონით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა. 1920 წლის აპრილის 6-ს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. უორდანი.

შ ს ა ს ი

არა ოფიციალური განცხადება

შინაგან საქმ. საინისტრუქციო ნებადართველად სახელმწიფო მიწების დახვნა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ სახელმწიფო მიწები ნებადართველად იხვნება გლეხების მიერ. ამის გამო სამინისტრომ შემდეგი შინაარსის ცირკულიარი დაუგზავნა ყველა საბაჟო ერობის გამგეობას:
„როგორც მიწათ-მოქმედების მინისტრის თავის 30 მარტის № 1444 მომართვით იუწყება, ამ ბოლო ხანებში ძალიან გაზარდულია გლეხების მიერ ნებადართველად სახელმწიფო მიწების დახვნა და ტყეების გაკაფვა, რასაც, მაგალითად, აღგოლი ჰქონია თელავის მაზრაში მდებარე მუკუხანის მამულის ნაწილის „მუხიანურის“ მიწების სოფელ ურიათუნის გლეხების მიერ და ღუშეთის მაზრის, ქართლის მამულის მიწების აგრეთვე გლეხების მიერ დახვნისა. გაცნობეთ რა ყოველივე ზემოხსენებულს, თანახმად მინისტრის დავალებისა, გთხოვთ

შობილით საჩქაროთ განკარგულება, რათა შობილი საჩქაროთ იქნას მიღებული ზომები ნებადართულად სახელმწიფო მამულეების დახურვის და ტყეების გაქვების წინააღმდეგ.

გაქვეყნებული ტუხლების დაბრუნება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამატებითი ცნობები მიიღო ზუგდიდის მაზრის მილიციის უფროსისაგან, რომ მაზრის ადმინისტრაციას შეუპყრია კიდევ ზუგდიდის ციხიდან გაქვეყნებული პატიმართაგანი: ბერიშვილი, ჯიქია და აბურჯანია.

ს ე ნ ა ა.

დღეშეთის სამაზრო ერობის გამგეობამ, თანხმად ხმოსანთა ყრილობის დადგენილებსა, წარმოადგინა რა ხარჯთ-აღრიცხვა და პროექტი მდინარე შტკვრის პირას, სოფ. მცხეთაში წიხჭილის და სახერხი სახელოსნო ქარხნების აგებისა, შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ამ საქმისათვის მიეცეს დღეშეთის სამაზრო ერობას 2.400.000 მანეთიანი უპროცენტო სესხი ხუთი წლის ვადით.

ლტლელივები.

სომხეთ კავკასიის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ალფრე შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ამ ქვეყნის იმერეთის და სვანეთის საზღვრებზე იმყოფებიან მთელი ლტლელივები, რიცხვით 47 კაცი, რომელთაც სურვილი აქვთ თავიანთ ადგილებში დაბრუნებისა, და ითხოვა, რათა ისინი გადაყვანილ იქნან ქუთაისში და არა ფოთში, რათა მით საშუალება შეეცეთ სამშობლოში დაბრუნებისა.

ხარჯთ-აღრიცხვა.

ტფილისის დავრდომილთა თავშესაფარის სამეურნეო კომიტეტმა წარმოადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა 1920—1921 წ.წ. დაჯარღობილთა თავშესაფარის შესახებ.

კონკურსი.

გორის და მის მიდამოებში მომხდარ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დაზარალებულთა საგანგებო კომიტეტი აცხადებს კონკურს სესიომომღე ცხოვრებულ სახლების პროექტის შესადგენათ, ვაკესა და 30⁰ დაღმართ ადგილებზე.

შემდეგ პირობებში:

- 1) უნდა დაზარალებულ პროექტი სოფელურ ორ ოთახიან სახლისა თავისი სამხარეულ ოთახი; პირველი ოთახის სიგრძე=4—5 ოთხკუთხი საფ., მეორე=7—8 ოთხკუთხი საფ. მეორე ოთახის აგებულება ნაგარაუდგვი უნდა იყოს ისე, რომ საჭიროებისამებრ, კაპიტალურ შეაკედლის გაუქმებლად შეიძლება დისი ორ ოთახად გაყოფა, მეორე ოთახშივე უნდა მოეწყოს საწოლი ტახტები და კედლის განჯინები ქურქულელობის, ტანსამოსის და ყოველ დღე სახმარებელ სანოვაგის შესანახად.
2) სახლზე მიშენებული უნდა იქნეს: ვერანდა (ბალკონი), ერთი საფ. სიგანისა, გრილი საკუჭნაო სურსათისათვის (ლობია, ხახვი, ყველი და სხვა), რომლის სიგრძე=2 კვ. საფ. და ფეხის ადგილი, რომელიც თუმცა შეერთებული უნდა იყოს სახლთან, მაგრამ ჰიგიენიური მოსაზრებით არ უნდა იყოს შედგმული მასზე ორგანიზალად.
3) პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად დებულებებს:

- ა) განზრახული შენობა უნდა იყოს სესიომომღე.
ბ) განზრახული შენობა უნდა იყოს მკონომიური. (მასალის დაზოგვით ნაშენი).
გ) განზრახული შენობა უნდა იყოს ჰიგიენური.
დ) განზრახული შენობა უნდა იყოს ციხის მძღე.
ე) განზრახული შენობა უნდა აკმაყოფილებდეს დაზარალებულ რაიონის ყოფაცხოვრების პირობებს.
3) შენობა უნდა წარმოადგენდეს ხელოვნებით ანასახს, რამუნდაც ასეთ მცირე და მარტივ მიზანს შეეფერება და შეფარდებული უნდა იყოს ადგილობრივ ყოფაცხოვრებისა და ეროვნულ თავისებურებასთან.
4) რადგანაც ადგილობრივ ბაზარზე არ მოიპოვება მრავალი სხვა და სხვა საღებავებელი მასალა, ამიტომ პროექტის შედგენის დროს მხედველობაში მისაღებია მხოლოდ შემდეგი მასალა:
ა) საძირკველისათვის—საფუძე-ქვა, დატეხილი რიყის ქვა, ბეტონი.
ბ) კედლისათვის—აგური, ქვა, დამუშავებული და დამუშავებელი ტყის მასალა, თიხა, ბეტონი.

გ) კერისათვის—დამუშავებული და დამუშავებელი ტყის მასალა.

დ) სახურავისათვის—რა მასალასაც ავტორი დაინახავს საჭიროდ, გარდა რკინისა, რომლის ხმარება არ არის სასურველი.

5) ადგილობრივ ბაზარზე უქონლობის გამო, რაც შეიძლება ნაკლებ უნდა იქნეს ხმარებული შემდეგი მასალა: რკინა, დუღაბი (კემენტი), ტყის დამუშავებული მასალა (გამონაკლისი—სახურავის ყვარი) კედლებისასა—შენებლად არ შეიძლება ხმარება მთელი ბის ნამორების, თუნდაც დამუშავებულისა.

6) პროექტის წარმოსადგენი უკანასკნელი ვადა დანიშნულია მისის ათი;

7) თავის გადაწყვეტილებას ქიური გამოიტანს ერთი კვირის განმავლობაში დღიდან პროექტის წარდგენისა. პრემიის მისჯის წინ და მის შემდეგ ორი დღის განმავლობაში წარმოდგენილი პროექტი გამოვინიღ იქნება საჯაროდ. გაცხადებანი ქიურის გადაწყვეტილებაზე, თუ ასეთები იქნება, მიიღება ორი დღის განმავლობაში, რომლის შემდეგ შემოსული განცხადება განუხილავად იქნება დატოვებული.

ქიურის გადაწყვეტილების შემდეგ, კომისიის უახლოესი საერთო სხდომაზე გაიხსნება სადგევიზო პაქეტი და გამოქვეყნდება ავტორის ვინაობა.

8) ქიური შესდგება შემდეგი 5 პირისაგან: ინჟ. ქურდიანი, ტურ-მიქელოვი, რიგორსკი—სავიჩი, წარმომადგენელი გორის ერობისა და მთავარ კომიტეტის. გარდა ამისა მოწვეულ იქნება მხატვართა და გეოლოგთა კომისიები დასკვნისათვის.

9) პროექტი უნდა წარმოდგენილ იქნეს ლათ. რაიმე დევიზით, და დახურულ სადგევიზო პაქეტით, რომელშიაც იქნება ნაჩვენები ავტორის ვინაობა და მისამართი.

10) ნაბაზი მასშტაბი: 2 დიუმი. =საყენს—შენობის გაჭრილობა და პირისათვის (ფაქსა)=1 დიუმი საყენს, —გეგმისათვის პროექტის აგებულობის წვრილმანები, რომელიც ნახავენ მის თავისებულებს (თანხმად მისი სესიომომღეობის) დანიშნულებისა უნდა შესრულდეს ვადიდებული მასშტაბით, თვით ავტორის შეხედულებით. პროექტების ნაბაზის შესრულების წესი (ფანქარი, ტუში და სხვა) დამოკიდებულია ავტორის სურვილზე. პროექტს თან უნდა ახლდეს განმარტებითი ბარათი.

11) საუკეთესო პროექტებისათვის, რომელნიც დააკმაყოფილებენ კონკურსის პროგრამას, დანიშნულია ორი პრემია: 25000 მან., და 15000 მან. ამასთან ერთად საგანგებო კომიტეტი იტოვებს უფლებას წარმოდგენილ უპრემიო პროექტებიდანაც 10000 მანეთად შეისყიდოს ის პროექტი, რომელიც მას მოეწონება.

12) თვითუღმა კონკურენტმა უნდა წარმოადგინოს პროექტის ორი ვარიანტი ვაკისა და ფერდობებისთვის, პროექტის განხილვა შეიძლება აგრეთვე ცალკაქე და ქიურის გადაწყვეტილებით. პრემია მიეცემა თვითუღ პროექტს ცალკე, საერთო და გადადებულ თანხიდან ქიურის გადაწყვეტილების თანხმად.

13) პროექტი უნდა წარმოდგენილ იქნეს ქალაქთა კავშირის სატეხნიკო განყოფილებაში (პუშკინის ქ. № 3).

კომიტეტის თავმჯდომარე რ. აბხენიძე.

ყრილობა

სალიტერატურო ქართულის შესახებ შეგებლად.

სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული სასწავლო კომიტეტის დადგენილების თანხმად, მდგომარე წლის 24 მაისს ქ. ტფილისში გაიხსნება ქართული ენის მკოდნეთა ყრილობა.

I.

ყრილობის მიზანი.

ყრილობის მიზანია მოსპოს ის სხვა და სხვაობა, რომელიც დღევანდელს სამწერლო ენას ახასიათებს და მერყევ ფორმათა ნაცვლად შეიმუშავოს და დამკვიდროს ყველასათვის ერთგვარად სვალდებულო სალიტერატურო ქართული ენის ნორმები.

II.

ყრილობის შემადგენლობა.

- ყრილობა შესდგება:
ა. სასწავლო კომიტეტის მიერ არჩეულ პირთაგან, რომელთა რიცხვსაც თვით კომიტეტი განსაზღვრავს.
ბ. განათლების სამინისტროს მიერ მოწვეულ პირთაგან.
გ. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორის წარმომადგენლისაგან.

დ. ქართველ მწერალთა კავშირის ორის წარმომადგენლისაგან.

ე. წ. კ. გამაგრებული საზოგადოების ერთის წარმომადგენლისაგან.

ვ. საქ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთის წარმომადგენლისაგან.

ზ. სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ორის წარმომადგენლისაგან.

3.

საორგანიზაციო კომისია.

ზემო აღნიშნული ყრილობის მოწვევამდე საჭირო წინასწარი მუშაობა დაეკისრება სასწავლო კომიტეტისაგან გამოყოფილ ყრილობის საორგანიზაციო კომისიას.

კომისია შეჭრებს დღევანდელს სალიტერატურო ქართულში სადაოდ გამხდარი საკითხების შესახებ ყველა მასალას, გაზეთებსა და პერიოდულ გამოცემებში სხვა და სხვა დროს მოთავსებულს; ამავე მიზნით მიმართავს იგი მკოდნე პირთა სადაო საკითხების შესახებ ცნობათა მოსაწოდებლად, თავს მოუყრის და გარკვეული სისტემით დაალაგებს მათ და თანაც თადარიგს დაიქვრს, რომ ყრილობაზე რამდენიმე სპეციალური მოხსენება იყოს წაკითხული, მაგალითად: ორთოგრაფიის ისტორიიდან, ძველი და ახალი ქართული, თანამედროვე კოლოები და სამწერლო ენა, საორთოგრაფიო პრინციპები, ქართული პექტუაცია, ქართული კომპოზიტიები და სხვა.

4.

ყრილობის მუშაობა.

ყრილობა შეიკრიბება პირველად 24 მაისს, დილის ათ საათზე, სხდომებზე წაკითხული იქნება მოხსენებანი და გარჩეული იქნება ყველა ის მასალა, რომელსაც წარუდგენს მას საორგანიზაციო კომისია. თვითოველი სადაო საკითხის ყოველმხრივ აწონ-დაწონის შემდეგ ყრილობა მიიღებს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ ფორმის შემოსალებად.

5.

სალიტერატურო ფორმების საბალოლად დადასტურება და ცნოვრებაში გატარება.

ყრილობის დადგენილებანი და დასკვნები მოხსენდება სასწავლო კომიტეტს უახლოეს სხდომაზე (ესწრება ყრილობის ყველა წევრი) სადაც უნდა დადასტურდეს და საბოლოო საწკცია მიეცეს ყრილობის მიერ დადგენილ ფორმებს.

ამის შემდგომ განათლების სამინისტრო გამააქვეყნებს საბოლოოდ მიღებულ ფორმებს და საყალდებულოდ გახდის ყველასათვის.

ყრილობის საორგანიზაციო კომისიისაგან.

ზემოაღნიშნული დადგენილების მე-მ მუხლის თანხმად არჩეული ყრილობის საორგანიზაციო კომისია უკვე შეუდგა სადაო საკითხების აღნუსხვას და სისტემატიურად დალაგებას როგორც ფონეტიკასა და მორფოლოგიაში, ისე აგრეთვე სინტექსში მაგალითად:

I. ფონეტიკაში.

- 1. ძველი ასოები შ, ა, ვ, კ, ზ, და მათი მარება დღევანდელ სამწერლო ენაში;
2. ასიმილაცია—დისიმილაციის გავლენა სალიტერატურო ქართულზე (ქალაქიდან თუ ქალაქიდან, თბილისი, თფილისი თუ ტფილისი და სხვა და სხვა).

2. მორფოლოგიაში.

- 1. დონი თუ თანი მიმართულებითი.
2. პიესა და ხანის ხმარება ზმნის ფორმებში.
3. დენ თუ ფენ;
4. ვლგავარ თუ ვლგვარ;
5. ჰევიანდა თუ ჰევიანა;
6. აღვიარებ თუ ვლვიარებ;
7. ვიწყებ და ვიწყობ; და სხვა და სხვა.

3. სინტაქსში.

- მაგ. 1. ქართველ ერის თუ ქართველი ერის;
2. კარგი ურმის თვალი თუ ურმის კარგი თვალი;
3. რაც უნდა იყოს, თუ რაც არ უნდა იყოს. და სხვ. და სხვ.
კომისიის ხელთა აქვს პერიოდულ გამოცემებში გაბნეული მასალები, მაგრამ ვინაიდან შესაძლებელია მას გამოარჩეს რაიმე საყურადღებო წერილი, განსაკუთრებით ძველ ქრწნალ-გაზეთებში, ვსთხოვთ ავტორებსა და მწიგნობართ მოგვაწოდონ იმაგვარი ცნობები. მათვე ვსთხოვთ მოგვაწოდონ, ან ცალკე მოხსენებების სახით, ან პრესის საშუალებით ყველაფერი ის, რაც მკიდროდ დაკავშირებულია ქართული ენის კვლევა-ძიების საქმესთან საზოგადოდ და განსაკუთრებით სადაო

ფორმების გამორკვევასთან აუცილებლად შემდეგის სათაურით:

„მასალები სალიტერატურო ქართულისათვის“. მისამართი: ტფილისი, განათლების სამინისტრო. ყრილობის საორგანიზაციო კომისიის წევრს ვუქ. ბერიძეს.

საორგანიზაციო კომისიის წევრნი: გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ხ. გორგაძე, ვუქ. ბერიძე.

უცხოეთი

ოსმალეთი

ოსმალეთის გაზეთების გამოცემით კონსტანტინოპოლიდან გაქვეყნული ოსმალეთის დებუტატები ჩასულან ანგორაში.

სომხეთის დელეგაცია—გენიზილოსთან.

გენიზილოსმა ლონდონში სომხეთის დელეგაციას პოლოს ნუბარის თანადასწრებით გაუმართა ოფიციალური სადილი. სადილს დაესწრა აგრეთვე სომხეთის მინისტრი აგა-რონიანი.

მდგომარეობა კავკავში.

ვენების კვირაში, ხუთშაბათს კავკავში ჩასულან „ჩრეუზიჩიკები“. მათ დაბატირება დაუწყიათ. ადვენენ პროექტს ბურჟუაზიის ქალაქიდან გადასახლებისთვის. ზორად ახდენენ რეკვიზიციას ავეჯეულობის და სხვა ოჯახის საჭიროების სავნებისას. სიძვირე საზღაპრათა. რესტორანში კაცმა რომ ისაღილოს—უჯდება არა ნაკლებ 300 მანეთისა. გაცემულია ბრძანება რომ მოხალისეთა ფული მიიღონ. საბჭოთა რუსეთის ფულიც არის გასავალში. ექსცესების დროს კისლოვდსკში დაიღუპნენ ცნობილი სახლის პატრონები: ნ. პოპოვი, შჩერბინა და ექ. პეტრიკი.

ვილსონი და ოსმალეთის ხაკითხი

პრეზიდენტი ვილსონი იმ აზრს ადგას, რომ ოსმალეთი უნდა განიდევნონ კონსტანტინეპოლიდან, მხოლოდ ამ საკითხის გადაწყვეტას უნდა მოუყალდონ იმ დროს, ვიდრე რუსეთს შექლება მიეცემა ამ საქმეში მონაწილეობა მიიღოს. სომხეთმა, ვილსონის აზრით უნდა მიიღოს რაც შეიძლება მეტი ტერიტორიალური მფლობელობა და ზღვაზე გასასვლელი ადგილი. ვილსონს სწამს ბალშევიზმის განადგურება. ის ფიქრობს, რომ მომავალ ზამთარში დამყარდება ნამდვილი დემოკრატიული მართველობა რუსეთში. თითქმის ყველა გაზეთები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ვილსონს არ უნდა, რომ ოსმალეთი კონსტანტინეპოლში დარჩენ. გაზეთ „ტანი“-ს გადმოცემით ვილსონის აზრით, ოსმალეთის დატოვება ევროპაში—ეს იქნება ანაქრონიზმი. ვილსონს სურს შეჭმნას საერთაშორისო კომისია, რომელიც თვალყურს დაიქვრს დარდნელზე. ამ კომისიაში შევლენ რუსეთის წარმომადგენელიც.

მაჰმადიანთა მობილიზაცია საბერძნეთში.

საბერძნეთის მთავრობა იხილავს საკითხს მაჰმადიანთა მობილიზაციის შესახებ საბერძნეთში. მთავრობას სურს შეჭმნას მაჰმადიანთა სამხედრო ნაწილები, რომლის მეთაურებათ იქნებიან ის ოფიცრები, რომელთაც იციან ოსმალეთის ენა.

მიწის კანონი ლიკავში.

მიწის რეფორმის კომისიის კანონ-პროექტით მიწათ-მფლობელობა უნდა განისაზღვრებოდეს 50 დესეტინა მიწით.

აფრებიჯანის და სომხეთის კონფლიქტი.

თათართა შეიარაღებულ ძალების მიერ აზრებულთა ის სოფლები, სადაც მოსახლეობენ სომხები: ბულუჯი, ბარისი, კარაჩინარი, ტელინი, ნერჯიზენი და სხვა. სომხეთს სოფლები ადრეაფიჯანის ჯარის ნაწილებით ძალიან დაზარალებულია. განჯიდან წაიყვანეს სომხის ქალები. სოფ. ჩაიკენდში ამ ქვეყნის ცხარე ბრძოლა სწარმოებს.

აზერბეიჯანი.

— ბაქოს ზოგიერთ წრეებში ხმა გავრცელდა ვითომ აზერბეიჯანის საზღვრებთან დაღესტნიდან მოახლოვებულიყოს წითელ არმიის ნაწილები. ეს ხმები გავრცელებულია აზერბეიჯანის სახელმწიფოებრივ წესწყობილების არვე-დარვეგისთვის. მცხოვრებთა შორის მართლაც პანიკა გამეფდა. უკანასკნელ ხანებში აზერბეიჯანის მტერნი დაქინებთ გაიძახოდნენ, რომ წითელი არმია სადგურ იალამსთან არის. ყოველივე იმაგვარი ცნობები განზრახ მოეჭიკებული ირის. აზერბეიჯანი აზერბეიჯანის რესპუბლიკის საზღვრებს არ მოსდგომია. მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა აზერბეიჯა-

ნის დელეგაციის შემადგენლობა ამიერკავკასიის კონფერენციაზე დასასრულებლად, რომელიც შეიკრიფა ქ. ტფილისში: დელეგაციის თავმჯდომარე პარლამენტის წევრი ჰასან-ბეკ აღავეი. დელეგაციის წევრნი: იუსტიციის მინისტრის ამხანაგი ს. კრიჩინსკი და ადვოკატ ბეიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებელი წარმომადგენელი საქართველოსთან — ფ. ვეძი-ლოვი.

— განათლების სამინისტროში ეროვნულ ჰიმნის და ღერბის საკონკურსო აუარებელი პროექტები წარადგინეს. კონკურსი პირველ მისის შემდეგ მოხდება.

ყუბანის

ყუბანის მთავრობის მოწოდება.

ყუბანის მთავრობამ შავი ზღვის მდებარე მხარეს მცხოვრებთ მოწოდებით მიმართა, სადაც იგი აუწყებს, რომ ყუბანის მთავრობა შევიდა შავი ზღვის მდებარე მხარეში იმიტომ, რომ იქ არ იყო სამხედრო ძალა. არავითარი შემოგრაბების და აგრესიული მიზნები მას არა აქვს. ყუბანი იბრძვის მხოლოდ თავისუფლებისათვის და არავინ არ დაიხარება ძალმომრეობით, თუ შეურაცხყოფით. ყუბანის მთავრობა მოუწოდებს მცხოვრებლებს, რომ მათ სრულად მშვიდად განაგრძონ ცხოვრება. მათ მუშაობას არა ვინ შეუშლის ხელს.

დეკემბერი

(საქართველო, დეკემბერი საგანგაო) გერმანიისადმი.

კოპენჰაგენიდან მოსული ცნობით ბერლინში გამოუქვეყნებიათ ნახევრად ოფიციალური ცნობა მინცვი მომხდარ ფრანგების თანობის შესახებ, რომლის დროსაც მონდა შეთანხმება იმის შესახებ, რომ აუცილებლად უზრუნველყოფილი უნდა იყოს საფრანგეთისათვის რეინის ხაზი გერმანიის სამხედრო პარტიის მხრივ მოსალოდნელ თავდასხმისაგან. საფრანგეთი თითქმის აპირებს განსაკუთრებულ სახელმწიფოს შექმნას, რომელიც საფრანგეთისათვის ბუფერით უნდა გახდეს. ახრათა აქვთ, რომ ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში შეიტანონ რურის ხეობა და დიუსელდორფის სამრეწველო ოლქი. ამერიკული რაღია იუწყება, რომ ბავარიის გერმანიისაგან გამოყოფის მუქარა თანდათან უფრო რეალურ ფორმებს ღებულობს. სამხრეთი გერმანია უკმაყოფილოა ბერლინის მთავრობის, რადგან იგი უძღუვრია ალადგინოს წესრიგი. ბავარიელები აუკარად უარს ამბობენ ბერლინის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ დეკრეტის შესრულებაზე; რომელიც გერმანიის გარდის დაშლას და განიარაღების ეტება. კოპენჰაგენის რაღია სარწმუნოთ სთვლის, რომ პრუსიაში სამოქალაქო გვარადია დარჩება, მაგრამ იგი ბერლინიდან დამოუკიდებელი იქნება და წმინდა ადგილობრივ ორგანიზაციის ხასიათს მიიღებს შიუნჰენში საჩქაროდ იარაღდება. მონარქისტები თავის მოქმედებას არ ჰფარავენ და აშკარად ავრცელებენ მონადისეთა შეკრების შესახებ მოწოდებებს. ეროვნულ კრებაზე ნათქვამ სიტყვაში რეინს-კანცლერმა განაცხადა, რომ მთავრობის ჯარებმა რურის ოლქში დაკარგეს 800 კაცი მკვლელობა და დაჭრილის ხასით.

გლადივატაკი. აპრ. 9. პეკინში დატყვევების მრავალი სტუდენტი; მათ ბრალი ედებათ იმ პარტიის მიმდევრობაში, რომელიც არსებულ წესის დამხობისაკენ მოუწოდებს.

ოღბა. აპრ. 11. ბესარაბიის სოციალისტური პარტია ვაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს. დიპლომატიური კავშირები კრებების აკრძალვის გამო. კრებების უფლება კვლავ დბრთეს.

ბელაბატრაფი. აპრ. 13. ფინეთთან დროებითი ზავის შესაკვრელად დანიშნული კომისია პეტროგრადის შრომის სამ. რეგ. სამხრეთის წევრ. ამხ. ლაშვილის თავმჯდომარეობით 12 აპრილს შეუდგა მუშაობას რაიონოკში, რომელიც სადგ. ბელაბატრაფის პირდაპირ იმყოფება. ფინეთის კომისიისთან მომხდარ პირველ შეერთებულ სხდომაზე განხილული იყო საკითხები კომისიის მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

ერევნის ხადგურიდან. მოსკოვში სახალხო კომისარათა საბჭოს თავმჯდომარეს ლენინს. სომხეთის რესპუბლიკის წითელი ჯვრის სამმართველო გთხოვთ იქი შეუწყობთ და დაეხმარათ ჩრდილოეთ კავკასიის, თურქესტანისა და სხვა ადგილებში სომხებ, ლტოლვილებს მათ ევაკუაციასა და სომხეთისაკენ გამომგზავრებაში. ცუდი პირობების გამო ჩვენ აქ არა გვაქვს ბევრი რამ შეიღებელი და ამიტომ გთხოვთ რამდენიც

შესაძლებელია მოაღწერათ და მატერიალურადაც დაეხმარათ ამ ლტოლვილებს და უზრუნველყოთ ისინი აუცილებელ ტანსაცმელით და სამშობლოში უშიშარი მგზავრობის საშუალება მისცეთ. მთავარ სამმართველოს ცნობა აქვს თურქესტანში მყოფ ლტოლვილების მძიმე მდგომარეობის შესახებ, მაგრამ იგი რწმუნას გამოსთქვამს, რომ რუსეთის საბჭოთა ფედერატიული და სოციალისტური რესპუბლიკა მიიღებს ზომებს სომხები ლტოლვილების გაქვირებისაგან დასაცავათ და ამ მომართავს თანაგრძნობით შეხედება. მთავარი სამმართველო გთხოვთ პასუხი გაცეთ მას შემდეგი მისამართით: ერევანი, სომხეთის რესპუბლიკის 23 წითელი ჯვრის მთავარი სამმართველო.

გუნიციკალური სხობრება.

ჭიათურის ქალაქის საბჭოში.

ჭიათურის ქალაქის საბჭოს დადგენილებანი: თვითმმართველობის თანამშრომელთ მიეცეს დამატება ჯ. მაგრიტზე, თანახმად დამფუძნებელი კრების მიერ 1920 წ. 10 თებერვალს მიღებული დეკრეტისა %%. მომეტების შესახებ 1 იანვრიდან ამა წლისა.

— ხარჯთ-ალრიცხვა 1920 წლის ქალაქის საბჭომ უკვლედად მიიღო.

— გაუქმებულ იქმნას საბჭოს ამა წლის 20 იანვრის სხდომის დადგენილება შავ-ქაზე საფუთო გადასახადის 2 კაპეიკიდან 10 კაპეიკამდე გადიდების შესახებ. აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა გადიდებულ იქნეს საფუთო გადასახადი ჭიათურის სამრეწველო რაიონიდან გაზადულ თითო ფუთ მარგანეცზე 2 კაპეიკიდან 50 კაპეიკამდე ჭიათურის ქალაქის თვითმმართველობის სასარგებლოდ, რაც აუცილებელია 1920 წლის დეფიციტის დასაფარავად, მაგრამ რადგან 1920 წლის ხარჯთ-ალრიცხვა შედგენილია ფულის იმ კურსის მიხედვით, რაც დღეს არსებობს, მომავალში კი მოსალოდნელია, ფულის კურსის დაქვემდებარება და მაშასადამე ქალაქის ხარჯების გადიდება, ეთხოვოს მთავრობას 31 ივლისის 1919 წ. დეკრეტი (კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულში № 14, 1919 წ. 10 ოქტომბრის დეკრეტი № 1331). რომელიც უფლებას აძლევს ქალაქის თვითმმართველობებს საფუთო გადასახდი შემოიღოს გატანილ და შემოტანილ საქონელზე; გაავრცელოს მარგანეცზედაც, რომ ქალაქის თვითმმართველობას შეძლება მიეცეს გარემოების მიხედვით გადიდოს ან შემციროს მადებული საფუთო გადასახადი შავ-ქაზე.

— აღიძრას მთავრობის წინაშე შესაფერი უშამდგომლობა, რათა ქალაქ ჭიათურას მიეცეს დეფიციტის დასაფარავად 5,000,000 მ. სესხათ და ეს სესხი დაფარულ იქნეს შავ-ქაზე დაწესებულ საფუთო გადასახადიდან.

— ქალაქის საბჭოებზე წამსვლელთ მიეცეს 350 მ. დღეში და მასთან საგზაო ფული.

— საბჭომ მიიღო და დაამტკიცა შემდეგი ნიბრი ბორცზე: ხორცი საქონლის დაუწონავი—15 მან. დაწონილი—13. ღორის და ცხვრის დაუწონავი—18, დაწონილი—15. ქონის დაუწონავი—15 დაწონილი—10. ქონის ღორის—30. საქონლის—25. თხის—25.

ერობა

ჭიათურის სამხარეო ერობაში.

ჭიათურის ქალაქის საბჭოს დადგენილებანი: — ქალ. ჭიათურის ახლო მდებარე საფონდო ადგილები სახელდობრ: აღფონს აფშანიშვილის აგარაკ სალორიაში ჭოგნარის ხაზ., პეტრე წულუკიძის და პარმენ თვალჭრელიძის კვანჭირის აგარაკში ჭოგნარის ხაზ., ალათი მიზანდაროვის და სიმონ ბინდეროვის აგარაკ ბანჯაში ქვიტირ ხაზ., დავით ბესარიონის ძე ბელთუფლიშვილის აგარაკ გუმათში ოფურჩხეთის საზოგადოებისა—საერთო ზომით ას სამოცდა თვრამეტი დესეტინა 443კვ. სავ., (477 ჰექტარი) იყილოს სამხარეო ერობაში.

— შემოღებულ იქნას ერობის აფთიაქებში რესპუბლიკაში არსებული საფთიაქო ნიბრი ყოველივე დამატებით. შეღავათი წამლებზე საესებით მოიხსნას.

— დაევალოს ადმინისტრაციულ განყოფილებას დაუყონებლივ ლიკვიდაცია უქნას ხონში არსებულ სატყუარა სახლს.

— დაევალოს სასკოლო განყოფილებას გააწიროს თემს მასწავლებლებისთვის ბინის ქირა და შეშის და ნავთის ფასად გადასახადი, რის გადახდაც ევალება თემს.

— მიღებულ იქნას ტობანიერის და გომის

თემთა შორის საზღვრათ ბალდათ-ორპირის შარა გზიდან სამხრეთით მდებარე სასოფლოეკრეთ წოდებული „ომბახოს გზა“, რომელიც დაპირის „გეგეშიძეების დღეს“, „ომბახოს მთამდე“; ამ შარა გზის ჩრდილოეთით გატარებულ იქნეს ამ თემებს შორის საზღვარი იმის მიხედვით, თუ რომელ თემის მკვიდრთა საკუთრებას შეადგენს ადგილების 50% მეტი, რის გამოარკვევაც უნდა მიენდოს ამ ორ თემთა საბჭოს მიერ არჩეულ კომისიას უბნის საერობო ტენიკის თანდასრუებით.

მიეწეროს ამ თემებს, რომ ამ საზღვრის მიხედვით გამოიციხონ—ჩაწერონ ამა თუ იმ თემში ის მკვიდრნი, რომელთა მდგომარეობა ამ საზღვრის დადებამდის გამოურკვეველი იყო.

— გაუქმდეს მთელს მხარაში ჩაფრების თანამდებობა; საწირის თემს ადგილობრივ ცუდი პირობების გამო მიემატოს შტატს ზეჯით ორი მილიციელი; აღიძრას შუამდგომლობა გზათა სამინისტროს წინაშე, რათა ამ რაიონის იმ მოსწავლეებს რომლებიც ქ. ქუთაისში სწავლობენ და უხდებთ მატარებელი მგზავრობა, მიეცეს უფლება უფასოდ მგზავრობისა და თუ ეს შეუძლებელი იქნება დაკლებულ ფასებში მიეყილოს მათ რკინის გზის ბილეთები.

— დაწესებულ სამხარეო მილიციელების შტატს მიემატოს ორი მილიციელი, რომლებიც უნდა დანიშნოს სვირის სადგურზე და დაევალოს მათ სხვა მოვალეობასთან ერთად ყოველ ვაგონსა ხარაზინო კარესპოდენციების განგვა ყოველ სვირის რაიონში შევადალ თემებში.

სენატში

საქართველოს სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტში მოსასმენად დანიშნულ საქმეები 1920 წ. აპრილის 22, ქალ. ტფილისში, დილის ათ საათზე.

1) საქმე № 28, მაგდა 1. საკასაციო პროტესტი ტფ. სას. პალატის პროკურორის ამხანაგის ავკარინისა სას. პალატის განაჩენზე დადგენილის 1917 წ. 13 აპრ. ბრალდებულ იბად ასან ოლლის საქმეზე, რომლის დანაშაული გათვალისწინებულია 1065 მზნლ. სასჯ. დებულებისა.

2) საქმე № 10, მაგდა 2. საკასაციო საჩივარი ფედოტ ემცისა, ტფილისის საოლქო სასამართლოს 8 ოქტომბრის განაჩენზე, რომლითაც მას აქვს მისჯილი ორი თვით დატუსალება.

3) საქმე № 13, მაგდა 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ გურგენ დავითის ძე სიმონგლოვისა სასამართლოს პალატის განაჩენზე დადგენილის 1918 წ. 6 მარტის, რომლის ბრალდება გათვალისწინებულია 1180 სასჯ. დებ.

4) საქმე № 46, მაგდა 2. საკასაციო საჩივარი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი, ტფილისის ოლქის მისამართლეთა ყრილობის 31 იანვრის 1920 წლის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული მეტი ისა ოლლი ცნობილია უდანაშაულოდ რესპუბლიკის საზღვარ-გარეთ გასაზიდავად აკრძალულ საგნების გატანის ცდის ბრალდებაში.

5) საქმე № 47, მაგდა 2. საკასაციო საჩივარი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი მთავარი საბაჟოსი, ტფილისის ოლქის მოსამართლეთა ყრილობის 31 იანვრის 1920 წლის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული პეტრე ინაეთი, რესპუბლიკის საზღვარ-გარეთ გასაზიდავად აკრძალულ საგნების გატანის ცდის ბრალდებაში ცნობილი იქნა უდანაშაულოდ და სასამართლოს მიერ გამართლებული.

პროვინციური

ხაფ. ოზუნი (ზუგდ. შარა). ადგილობრივი თემი თვითმოქმედების დიდ უნარს იჩენს. გამგეობაში ენერგიული პირები აურჩევიათ, ხმონებიც დიდ აქტიობას იჩენს თავის პასუხსაგებ მუშაობაში. გამგეობის თავმჯდომარე ლევან მესხე მეტად მხენ საქმის მკოდნე და ენერგიული პიროვნება.

სულ რამოდენიმე თვე არის, რაც აქ ერობა მოეწყო და უკვე ყველაფერს ეტყობა გამოცობლება: მდ. კანი-წყალზე მკვიდრი ბილი გაუქმებიათ. აღსანიშნავია, რომ თითონ თავმჯდომარე ღებულობდა ხიდის ვაკეთების საქმეში აქტიურ მონაწილეობას.

აურჩევიათ მშენებელი ადგილი და უკვე იქ კარგება აშენებენ მომავალ აგვისტოსთვის კვირიან იარაღების მოსაწყობათ.

ეს კიდევ ცოტაა, გამგეობის თავმჯდომარე ეხლა შესდგომია კრამიტის და თიხის ქურქლეულობის ქარხნის მოწყობას, წინასწარი

მუშაობა უკვე სწარმოებს და მალე, სულ მალე ობუჯის თემს შეძლება ექნება მიაწოდოს მცხოვრებთ კრამიტი შეღავათიან ფასებში.

განზრახული აქვთ სახერხი მანქანის მოწყობაც.

„თუ სიკვდილმა არ მომისწრო ამ 2 წელიწადში მასალებსა და საკირო თანხას მოუყარი თავს და უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლისათვის ორ საართლოიანი ქვის სახლი უნდა წამოვიჭოთ, ისე კი რომ საზოგადოება არ შევაწუხოთ“. ასე მითხრა გამგეობის თავმჯდომარემ, როცა აქვთ მოვდიოდი და მე დარწმუნებული ვარ, რომ მისი ენერგია ამასაც მოახერხებს. მისაბაძი მაგალითია.

სამწუხაროდ, თემის გამგეობა მეტად გულგატეხილია მხარის ერობის მხრით, არავითარი ყურადღებას არ გააკეთებდა, ერთხელ აგრონომი არ გამოგვიგზავნეს, რომ საცდელი მინდვრისათვის ადგილი ეგვეჩიო; ხიდს ოცნა ვაკეთებდით შემწეობა ვსთხოვეთ, მაგრამ შემწეობის ჯანი გავარდეს, პასუხსაც ვერ ველირენით, უბრალო განმარტებისათვის ათჯერ გვიხდება ზუგდიდში სიარული და გარკვეულ პასუხს მაშინ ძლივს ვღებულობთ“ ასე შემომჩივლეს გულდაწყვეტილებში. არ არის კარგი, სამაზრო ერობამ დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს თემს.

დ. ფიფია.

სხვა და სხვა

— აღერუეჯანის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკათა კონფერენციის დადგენილებით ყაზახის მხარაში გაავრგნა დელეგაცია კონფერენციის წევრების: გასან ზეგ აგავეის, ს. გრ. მამოკონიანისა და გ. თ. მახარაძისაგან შემდგარი სომხეთა და თათართა შორის სისხლის ღვრის შესაწყვეტათ.

— საბჭოთა 20 აპრილს-ლექციების შემდეგ დანიშნულია სასოფლო სამეურნეო უშაღლეს კურსების მსმენელთა საზოგადო კრება. დასწრება ყოველ მსმენელისათვის აუცილებელია.

— საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია არდავანიდან შემდეგი დეკრეტი: „შავშეთში და ერუშეთში მყოფ ჯარების ოფიცრები და ჯარის კაცები მოვილოცავთ დღესასწაულს ქრისტე აღდგომისას, ვისურვებთ დასწრებოდეთ მრავალ ეამს ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეთ. ქრისტე აღსდგა. პოლკოვნიკი ვან-ბაქე“. მიღებულია აგრეთვე დეკრეტი ირთონუეჯიდან და სხვა სამუსლიმანო საქართველოს მხარეებიდან.

— კვირას, 18-ს აპრილს, ქართულ კლუბის დარბაზში ავადმყოფი დასახურებული მსახიობი ვასო აბაშიძე გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება სუნდუკიანცის კომედია „ხათაბალა“. ვასო აბაშიძის გარდა, მონაწილეობს მსახიობი ქალი ელ. ჩერქეზიშვილი.

— დღეს სამხედრო სასამართლოში მოხდება საჯარო არჩევნები სამხედრო ნაფიც მსაჯულთა მომავალ სესიისათვის 2—16 მაისამდე.

კვირას, 18 აპრილს, ტფილისის კვირაცხოვლის ეკლესიაში ტაძრის დღესასწაულის გამო საღვთო ლიტურგიას შესასრულებს საქართველოს კათალიკოსი ლეონიდე.

— სომხეთი ეროვნულ საბჭომ საქართველოში სომხეთა სასწავლებლებისთვის დასახმარებლად გადასდო 146.000 მანეთი.

— ბათუმში მარსკლიდან ჩამოვიდა გემი „პაკე“. გემი ბათუმში დარჩება ორი კვირა და შემდეგ კონსტანტინოპოლის გზით უკან-მე გაემგზავრება. გემმა ჩამოიტანა ბევრი ფართულეობა და სხვა საქონელი.

— სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ბიურომ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ მიიღო შემდეგი შემოწირულება: 1) სოლოლაკის მე-4 ქალაქის სკოლისაგან 221 მ. 50 კ., 2) ჩუღურეთის უმაღლეს დაწყებით სასწავლებლისგან 2795 მ., 3) ბ. მ. მაჩუკავისგან 500 მ., 4) სიღნაღის 2 კომპლექტიანი უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლისგან 6157 მ., 5) ახალსენაჯის ვეფთა გიმნაზიის დირექტორისგან 3762 მ., 6) მე-4 ვეფთა გიმნაზიისგან დამატ. შეკრებილი 830 მ., სულ 14265 მ. 50 კ., წინანდელი 40.648 მ. სულ 54913 მ. 50 კ. ეს ფული გადაეცა მთავარ ბიუროს.

— ამა წლის აპრილის 25 დანიშნულია საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტ. სხდომა. განსახილველი საკით. 1) მთავარ კომიტ. განყოფილებათა ანგარიშგები; 2) საქობი—მთავარ კომიტეტის სასარგებლოდ ქალაქების მიერ საპროცენტო გადასახადის შეტანის შესახებ; 3) წინა სხდომაზე განუხილველად დარჩენილ კითხვითა განხილვა,

4) ქალაქთა წარმომადგენლების მორიგი ყრილობის მოწვევის დროს განსაზღვრა; 5) ყრილობის დღიური წესრიგი; 6) 1920 წლის ხარჯთაღრიცხვა; 7) მიმდინარე საქმეები; 8) კითხვები, რომელიც შესაძლოა თვით სხდომაზე წარმოიჭონ.

ჩინის გზაზე

16 აპრილს ფოთიდან ტფილისში გაგზავნილი 4000 ფ. ზეთი პოლონეთის მისიის სახელზე.

15 აპრილს ტფილისიდან ადგილობრივად გაგზავნილი ორი ვაგონი დტოლოვი-შესულ-მანები.

ტფილისის საეროებო გამგეობამ დაადგინა მონახვის ბინა საზაზრო აღმინისტრაციის პირთათვის, რომლებიც სამსახურის საქმის გამო მზრიდან ტფილისში ჩამოდიან.

გზათა დეპარტამენტის დირექტორმა ბ. შაქვიძემ განკარგულება მოახდინა, რათა მოძრაობისა და ნავთსადენის მოსამსახურეებმა იტარონ ქუდზე ტენილოვების ნიშანი „ვასალები და ჩაქური“ და გზათა სამინისტროს დანარჩენმა მოსამსახურეებმა კი „სული და ლუხა“, ვისაც უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული, შეუძლია იტაროს უმაღლესი სასწავლებლის გათავების ნიშანი.

აპრილის 15 ტფილისიდან ბათუმში გაემგზავრა სასწრაფო მატარებლით გენერალი მდივანი.

ვილიციაში

27 მარტს, საღამოს 9 საათზე, მალაზია „რატალიური საკამისიო კანტორა“-ს დაეცნენ 4 შეიარაღებული უცხოელები და წაიღეს ძვირფასი ნივთები, ღირებულები 400.000 მან. და მიიშლნენ. მიღებული ზომებით თვით მილიციის უფროსმა შეიპყრო ერთ-ერთი მძარცველთაგანი—განსაკუთრებულ რაზმის გვარდიელი კირილე მელაძე, რომელიც დანაშაულში გამოტყდა და ამხანაგებზეც მიუთითა. ჯერ-ჯერობით შეიპყრეს მხოლოდ დავით ბეჭია, დანარჩენი კი—შალიკო ჩომახიძე და შეგვრელი „კირილე“ დაიშლნენ. გამოიკვია, რომ მოტაცებული ნივთები ბეჭიას ბაჭოში გაუსლდება.

იმვე ბეჭიას მეგობარ „კირილესთან“ და ნიკოლოზ გამრეკლიძესთან ერთად გაუძარცვებო მუწაღე ფაროთანცი, რომლისგანაც წაუღიათ 600.000 მან. ფულად და საქონლად.

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ნ ი

ოპანეზ კარაბეტის ძე კაპლანიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ოთხი ტალღის ას-სიგნობის, მიღებული ქალაქ ტფილისის თითო-მართლებიდან № 3649—1.500 მ., № 3650—1.500 მ., № 3801—1.585 მ. 60 კ. და № 3468—1.500 მ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 677 3—3

მისაკ ეგვიშის ძე შემოხინცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საკუთარი „პრაჩეშნი“ შესახებევი № 7 მდებარე სახლის ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 678 3—3

გვარდიელი პარმენ ფარსადანის ძე ისიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეორე რაიონის გვარდიის შტაბიდან მიღებული წიგნაკი გინტოვის № 64168 და რეგოლვერის № 26929 ნებართვით. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 675 3—3

დაიკარგა 1. პასპორტი № 215 მიღებული შორაპნის მზრის სამმართველოდან 1910 წ. ივანე ყარამანის ძე გველესიანის სახელზე. 2. სამხედრო ბეგარისაგან თავისუფლების მოწმობა, მიღებული შორაპნის მზრის სამხედრო საკრებულოდან ამავე პირის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 656 3—3

დაიკარგულია გ. გ. ადელხანოვის აქციონერულ საზ. ორი საბინაო დავთარი № 7636 (საერთო) და № 398 (კვლევ) ვორონკოვის ქუჩაზე № 82 მდებარე სახლის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 421 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგარიდან თავისუფლების მოწმობა პარმენ პავლეს ძე ბუგინიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ.) 3—2

დაიკარგულია სამხედრო ბეგარისაგან თავისუფლების მოწმობა, გაცემული ქუთ. მზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ვასილი გრიგოლის ძე ისაკაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 658 3—2

დაიკარგულია პასპორტი გაცემული ამიერკავკასიის კომისარიატისგან ბორის პეტრეს ძე უვაროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 673 3—2

დაიკარგულია ბიძინა ირაკლის ძე რამიშვილის სამწიფის მოწმობა, მიღებული ტფ. ქართული გიმნაზიიდან 1917 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 685 3—2

დაიკარგულია პირადობის მოწმობა ხაია გორუბის ასული რაჩუკის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 679 3—2

დაიკარგა პასპორტი № 987, მიღებული თელავის თვითმართველობიდან გიორგი ივანეს ძე ასბუგაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 654 3—2

დაიკარგა პასპორტი ოლლა ვასილის ასული პლოტნიკოვას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 655 3—2

ივანე იოსების ძე ციბაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა ქუთ. სასულიერო სასწავლებლის დამთავრების და მეტრიკული მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 660 3—2

დაიკარგა ორი სულის სასურსათო წიგნაკი № 3707 ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ვილარეხის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 663 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი პეტროს აო. კ. ავეტისოვის სახლის, რომელიც მდებარეობს ლიანდაგის ვადალმა მირზოევის ბინაზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 683 3—2

დაიკარგა გორის გიმნაზიის 7 კლასის დამთავრების მოწმობა № 173 და ტფ. მეოთხე ქალთა გიმნაზიის 8 კლ. დამთავრების მოწმობა № 242 და მეტრიკული ამონაწერი ლიბე ზელიკოვის ასული ბროცკის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 667 3—2

ილარიონ ქუჩუას ძე გაბუნამ დაჰკარგა სოფ. საბუშიძე დქნის ნასყიდობის მოწმობა, მალაზია შენგელაის მიერ ხელ მოწერილი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 426 3—1

დაიკარგა კავკასიის აფთიაქის საქონლით სავაჭრო ამხანაგობის ერთი პაი № 245 გიორგი პავლეს ძე მელიქ-კარაკოზოვის ქუთუნაილი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 429 3—1

თამარა ილიას ასული იმედაშვილისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი 7 კლ. № 47 და 8 კლ. მოწმობა № 100 მიღებული 1916 წ. თელავის ქ. წმ. ნინოს სასწავლებლიდან. მოწმობები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 692 3—1

ქ. ტფილისის მე-16 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იბარებს გარდაცვალებულ მარიამ გიორგის ასულის კოტეტაშვილის მემკვიდრეებს წარმოსადგენათ თავიანთი უფლებებისა ვადაზედ, თანახმად 1241 მუხ. ძალ. 1 ნაწ. X ტ. (კრებ. სამოქ. საქ. გამოცემული 1887 წელს.) 661 1—1

ქ. ტფილისის მე-18 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ბარბარე ალექსანდრეს ასული ქურთაურის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ქურთაურის სიკვილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე სამ. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 666 1—1

ცხინვალის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სოფ. შინდისში დიმიტრი სოლომონის ძე კვინიკაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება დიმიტრი კვინიკაძის ქონებაზე სამოქალაქო კანონის კრებულის X ტომის 1 ნაწილი 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 415 1—1

მრეწველობის წესდების მე-76-მუხ. მიხედვით (კან. კრ. ტ. 11 ნაწ. 2. გამოც. 1913 წ.) ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტი მითაცხადებს, რომ მის მიერ გაცემულია შემდეგი დამცველი მოწმობები წარმოდგენილ გამოგონებებზე და გაუმჯობესებულ უპირატესობათა პრეფერენციების (იხილეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ № 239 ოქტომბერი 23 და № 270.)

31. 1919 წლის ივლისის 29-ს № 1108 ს. როგაზდოვის ვინტის ბოქლომზე.

32. 1919 წლის ნოემბრის 29-ს № 1556 ს. ი. ნაცვლოვის ხის ძირებიან ფენსაცემელზე.

33. 1918 წლის დეკემბრის 1-ს № 1594 ს. ი. შაკევის დასაცავი რეზინის შინებისთვის.

34. 1919 წლის დეკემბრის 4-ს № 1579-ი. ი. კოზლოვის ფიტრულზე, დამზადებულ სხვა და სხვა ქსოვილებისა და ქაღალდის მასალისაგან.

35. 1919 წლის დეკემბრის 22-ს 1640 კ. 3. პლუტინკოვის დასაცავი ლამპების შუშებზე.

36. 1919 წლის დეკემბრის 31-ს № 1663 ი. დ. ავლოვის ვაზენის გოგირდის ხმარება გამოზობივი სახით.

37. 1919 წლის დეკემბრის 22-ს № 1641 ს. ვ. ვარდანიანის „ელექტროგრაფზე“.

38. 1920 წლის იანვრის 29-ს 209 ინგ. გარტის ეკონომიურ სამზარეულოზე.

39. 1920 წლის მარტის 1-ს № 546 ს. ვ. ეფრემოვის მშრალ გამოზიდულ ნავთის და მის ნაწარმოებისაგან წარმოდგარი ფისის ანუ ზეთის ხმარებაზე ხის შესანახად.

40. 1920 წლის მარტის 3-ს № 592 მ. ა. სარკისოვის პირდაცულ უმუშეტუკო გილზეების დასამზადებელ მოწყობილობაზე.

41. 1920 წლის მარტის 10-ს № 630 ა. ა. დამის ოქროს ფხვნილიდან წვრილ ოქროს ნატეხების გამოსარჩევი ხელსაწყოზე.

42. 1920 წლის მარტის 18-ს № 628 ა. კლივეს საავტომობილო შინების „Schutz“-სათვის ფოლადის ჯაჭვებურა საფარავზე.

43. 1920 წ. მარტის 10-ს № 629 დ. კ. ტროცკის თუნუქის ლამპის მინის გაუმჯობესებაზე.

სამი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტი იღებს სათანადო დასაბუთებულ განცხადებას იმის შესახებ, თუ ესა თუ ის შემოდ აღნიშნული გამოგონება, ან გაუმჯობესება უკვე ცნობილია; ან შესულია ხმარებაში, ან რუსეთის მიერ უპირატესობა აქვს მინიჭებული. 366 1—1

1920 წელს აპრილის 25-ს დღის 12 საათზე აღმუდლის სატყეო კანცელარიაში დღისით 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა საშუაზე და სანახაზირ ტყეზე საგინოვის ყოფილ ტყიან მამულში რაოდენობით 5 დესეტინა, ანგარიშით 120,5 კუბ. საყენი და შეფასებული 54,336 მანეთად და 20 კაპ. ყოველ გვარი ცნობების მიღება შეიძლება აღმუდლის სატყეო კანცელარიაში. 423 1—1

დაიკარგულია შვიდი სულის სასურსათო წიგნაკი № 22325 და პირადობის მოწმობა სურენ არმენაკის ძე დაშტოიანცის სახელზე, მიღებული ქალაქის თვითმართველობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 689 3—1

იაკობ სერგოს ძე ბაშენკო აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან 1919 წ. ნოემბერში, მოწმობა მიღებული რუსების ნაციონალურ საბჭოსაგან და ფოტოგრაფიული სურათები. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 684 3—1

მინათ-მოქმედები საინისტროს საიჯარო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 21 აპრილს 1920 წლ. 12 საათზე სენაკის სამხარო კომისარიატში იქნება დანიშნული სიტყვიერი საჯარო ვაჭრობა დაბეჭდილი კონვერტების დაშვებით ქვის სატეხ ადგილზე მდებარე სახელმწიფო ფონდის ფარგლებში. ვაჭრობა დაიწყება 50000 მანეთიდან. დაბეჭდილი განცხადებანი უნდა იქნეს აღნიშნული ორ მანეთიანი საღირსო მარკით და აგრეთვე განცხადებანიც—საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების შესახებ. მსურველებმა განცხადება უნდა შეიტანონ ზემო აღნიშნულ კომისარიატში. 437 1—1

გზათა დეპარტამენტი

აცხადებს ყველა დაინტერესებულ რესპუბლიკის სახანო, საერო, ქალაქების და კერძო სამრეწველო წარმომადგენელთა და პირთა საყურადღებოდ შემდეგს: ტყეების მალოროებიდან ქვა-ნახშირის მისაღებად სამრეწველო დარგებში, რომლებიც მუშაობენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო, უნდა წარმოადგინონ გზათა დეპარტამენტში მოწმობა—სახელმწიფო სამრეწველოებში სათანადო სამინისტროებისაგან, კერძომ კი ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის, სახმარო ერობების და ქალაქის თვითმართველობათაგან. მოწმობაში მტკიცედ უნდა იყოს აღნიშნული თვითი საჭიროება ქვა-ნახშირისა ანუ თუ იმ სამრეწველო-საინისტროს კერძო პირი ანუ სამრეწველო, რომლებიც მუშაობენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეშე და მასთან გემები, რომელნიც სდგანან რესპუბლიკის ნავთსადგურებში, დეპარტამენტს ქვა-ნახშირის მომარაგების სამინისტროსაგან, რომელსაც იგივე მიმართავენ სათანადო თხოვნით. კერძომ პირებზე ქვა-ნახშირის გაყიდვა, როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, აგრეთვე მის გარეშე, ხდება მომარაგების სამინისტროს მიერ და ამ ხასიათის თხოვნები გზათა დეპარტამენტის მიერ განხილული არ იქნება. 432 3—2

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ტფილისში მომუშავე ყველა ბებია ქალები არიან მოწვეულნი ქალაქის საბჭოს დარბაზში 22 აპრილს 1920 წ. საღამოს 6 საათზე მათზედ შეწერილ ერთდროულ სანიტარულ ეპიდემიურ ვადასახადის ურთიერთ-შორის გასანაწილებლად. 436 3-1

ტფილისისის სამიტროპოლიტო სასამართლოში პავლე დანიუკოვი შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცალი ლიუდმილა ფილიპეს ასული, რომელზედაც ჯგერა დიწერა 1910 წლ. უკვალდ დიკარგა 1910 წელს რის გამო აღნიშნული პავლე დანიუკოვი თხოვლობს ცოლისაგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ ლიუდმილა ფილიპეს ასული დანიუკოვისა მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემო მხენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში. 659 1—3

დაიკარგა პასპორტი ანა დიმიტრის ასული ჩისტიაკოვას სახელზე, მიღებული მესამე კავკასიის კორპუსის შტაბიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 708 3—1

დაიკარგულია პასპორტი გრიგოლ ოვანეხის ძე ბარსაგვიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 686 3—1

დაიკარგა სამი სულის სასურსათო წიგნაკი № 5106 ანასტასია სიმონის ასული გოგიჩიშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 704 1—3

კავკასიის სინოდალური კანტორა ამით აცხადებს, რომ 1919 წ. ნოემბრის 5-ს იქ შეიტანა თხოვნა აგუსტინა ივანეს ასულმა კოსტინამ, მცხოვრებმა ქ. ბათუმში, მის ქმართან ნიკოლოზ კონსტანტინთან განქორწინების შესახებ. ისინი დაქორწინებული არიან ბათუმში 1905 წ. აპრილის 24-ს. მთხოვნელის განცხადებით ნიკოლოზ კოსტინი არა სჩანს 1906 წლ. ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ნ. კოსტინი, ვალდებულია დაუყენებლივ განუცხადოს სინოდალურ კანტორას ერთი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან. 467 1—1

საქციზო სამმართველო აცხადებს, საყოველთაოდ, რომ თანახმად 1918 წ. 13 ნენიოსის კანონის მე-14 მუხლისა, ყოველგვარი ხარისხის თამბაქო და მისი ნაწარმოები უნდა იყიდებოდეს არა უძვირეს იმ ფსისა, რომელიც ნაჩვენებია ამ ნაწარმოების ეტიკეტზე. საქციზო სამმართველო უმორჩილესად სთხოვს ყველა მოქალაქეს, რომელიც კი შეიმჩნევს ამ კანონის დარღვევას, კეთილ ინებოს და გამოუცხადოს ამის შესახებ მილიციას, ან ადგილობრივ აქციზის მოხელეს და მნაშავეს სამართალში მისაცემად, ანდა გაუგზავნოს საქციზო სამმართველოს (სასამართლოს ქ. № 50) შესაფერი განცხადება თავის მისამართის აღნიშვნით. 433 1—1

დაიკარგულია პასპორტი ერვანდ ოლქს-გუქასოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 552 3—1